

899-962-1(09)
၃-၂၃၆

တბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მამუკა ჯავახიშვილი და შანტურაია

ვაჟა-ფშაველას 900-იანი წლების ეპოსი -
„ძალლიკა ხიმიკაურის“ პრობლემატიკა და
მხატვრული სტრუქტურა

სპეციალობა 10.01.01. ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1999

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე

ექსპერტი - ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ოთარ ბაქანიძე

ოფიციალური ოპონენტები - ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ლევან ჭრელაშვილი

- ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოკტორი დაივით კოტორაშვილი

ნამყვანი ორგანიზაცია - აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 16/IV 14 საათზე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი ფილოლოგის დარგის
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, შიფრით P10.01 C №2

380028, თბილისი, ი.ჭავჭავაძის პრ. №1
დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წ. 12.03.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ნოდარ ტაბიძე

თემის აქტუალობა. ვაჟა-ფშაველამ თავის ნაწარმოებებში
ჭარბად მიმართა ფართო საზოგადოებრიობისათვის მანამდე
პრაქტიკულად უცნობ მასალას უძველესი ეთნიკური ერთეულის
ფშავ-ხევსურეთის გვაროვნულ-თემური ცხოვრებიდან-უკიდურესად
არაორდინალურს თავისი არქაული ყოფით, ტრადიციული
ადათებით, რაც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა,
მტკიცდებოდა, განიცდიდა გარკვეულ სოციალურ ცვლილებებს.
ამ მასალათა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია „კი
უმის“ პრობლემა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირე-
ბულია საზოგადოებისა და მისი წევრის პიროვნების ურთიერთო-
ბასთან. სხვადასხვა კუთხით წარმოჩნდა ეს პრობლემა პოეტის
ნაწარმოებებში. თავისებური სპეციფიკურობითაა იგი ასახული
და გადაწყვეტილი 900-იან წლებში დაწერილ ვაჟას ერთ-ერთ
საუკეთესო პოემა „ძალლიკა ხიმიკაურში“, რომელშიც ერთმანეთ-
თანაა შენივთებული პიროვნების ლირსების დაცვისა და სამ-
შობლის სამსახურის მოტივი. პატრიოტიზმისა და საკუთარი
მამაკაცური ლირსების შეულახაობის თემები ვაჟას ნაწერებში
არასოდეს გამორიცხავს ერთმანეთს, პირიქით, ერთმანეთს ავსებს,
ერთმანეთის პარალელურად მიედინება, რომლებსაც არა მოლოდ
თანაარსებობის უფლება აქვთ მოპოვებული, არამედ თანა-
ბარფასეულიცა. მაგრამ არის შემთხვევა, როცა ერთი მოტივი
მეორეს ექვემდებარება. ასეა „ძალლიკა ხიმიკაურში“, რომელშიც
პიროვნების ლირსების დაცვის იდეა წინა პლანზეა წამოწეული.

პრობლემის შესწავლის დონე და მეცნიერული სიახლე
მიუხედავად სხვადასხვა პერიოდისა და ასაკის, სხვადასხვა
შესაძლებლობებისა და შეხედულებების ავტორთა უაღრესად
მნიშვნელოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული გამოკვლევებისა,
ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა სათქმელი ყველა იმ ასპექტის
გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც მსჯელობის საშუალებას
გვაძლევს გენიოსი შემოქმედი ვაჟა-ფშაველა. ეს ბუნებრივიცაა:
„ვაჟა ულევი ნიჭის პოეტია“, „ვაჟას ფანტაზიაშ არ იცის
მიჯნა“ (გრ. კიკნაძე). ამიტომაც იმდენად უშრეტია ის თემები